ეუთოს რეგიონში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტები

ინსტრუმენტი 4

# სამოქალაქო საზოგადოებისა და ქალთა მოძრაობების როლი

OSCE ODIHR

# ეუთოს რეგიონში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტები

## ინსტრუმენტი 4: სამოქალაქო საზოგადოებისა და ქალთა მოძრაობების როლი

Office for Democratic Institutions and Human Rights
OSCE ODIHR

**სამადლობელი:** ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR) მადლობას უხდის რატგერსის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორს, მონა ლენა კრუკს წინამდებარე ინსტრუმენტის (ინსტრუმენტი 4: სამოქალაქო საზოგადოებისა და ქალთა მოძრაობების როლი) მომზადებისთვის.

ODIHR მადლობას უხდის ასევე ეუთოსა და სხვა რეგიონებში საგანმანათლებლო სფეროს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ მკვლევრებს, პრაქტიკოსებსა და ექსპერტებს ინსტრუმენტების შემუშავებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და რჩევებისთვის.

*ეუთოს რეგიონში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტები*
*ინსტრუმენტი 4: სამოქალაქო საზოგადოებისა და ქალთა მოძრაობების როლი*

ვარშავა, 2022 წელი
OSCE/ODIHR

გამოქვეყნებულია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) მიერ.

მიოდოვას ქ. 10
00–251 ვარშავა
პოლონეთი
www.osce.org/odihr

© OSCE/ODIHR 2022 ყველა უფლება დაცულია. ამ პუბლიკაციის შინაარსი შეიძლება თავისუფლად იქნას გამოყენებული საგანმანათლებლო და სხვა არაკომერციული მიზნებისთვის, იმ პირობით, რომ ნებისმიერი ამგვარი გამოყენებისას წყაროდ მიეთითება OSCE/ODIHR.

ISBN: 978-92-9271-091-0

დიზაინი: Michael Lusaba
ილუსტრაციები: Aida Herceg

SCAN ME

# შინაარსი


**შესავალი** **01**

**ახალი კარგი პრაქტიკები** **03**

ცნობიერების ამაღლება 03

მონაცემთა შეგროვება 10

უფრო უსაფრთხო გარემოს შექმნა 17

მობილიზება პოლიტიკის რეფორმირებისთვის 20

**საჭირო ქმედებათა ჩამონათვალი სამოქალაქო აქტორებისთვის** **21**

ცნობიერების ამაღლება 21

მონაცემთა შეგროვება 21

უფრო უსაფრთხო გარემოს შექმნა 22

მობილიზება პოლიტიკის რეფორმირებისთვის 22

**დამატებითი საკითხავი და გამოყენებული ლიტერატურა** **23**

# პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტები

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა არის ადამიანის უფლებათა დარღვევა, ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის ხელშემშლელი გარემოება და სერიოზული გამოწვევა დემოკრატიის, მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის ეუთოს წევრ სახელმწიფოებში. აუცილებელია ძალადობის სხვადასხვა ფორმასთან ბრძოლა და მისი აღმოფხვრა პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროდან.

ეუთოს მინისტრთა საბჭოს 2018 წლის გადაწყვეტილება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ აღიარებს, რომ "ქალები, რომლებიც საჯარო პროფესიულ საქმიანობას ეწევიან, ... მათი საქმიანობის გამო შეიძლება დაექვემდებარონ გარკვეული ფორმის ძალადობას ან შეურაცხყოფას, მუქარასა და შევიწროებას". ამავე დროს, აღნიშნული გადაწყვეტილება „მოუწოდებს ყველა შესაბამის აქტორს, მათ შორის, პოლიტიკური პროცესის მონაწილეებს, ხელი შეუწყონ ქალთა მიმართ (იმ ქალთა ჩათვლით, რომელთა პროფესიული საქმიანობა საჯაროა და/ან საზოგადოების ინტერესებს ემსახურება) ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციას; ამისათვის საჭიროა მოცემული საკითხის წამოწევა საზოგადოებრივ დისკუსიებში, ცნობიერების ამაღლების ინიციატივების შემუშავება და სხვა შესაბამისი ღონისძიებები, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ახალგაზრდა ქალებზე ამგვარი ძალადობის მსუსხავი ეფექტი".

ეუთოს რეგიონში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის წინამდებარე ინსტრუმენტები მიზნად ისახავს ეუთოს წევრი სახელმწიფოების ცნობიერების ამაღლებასა და ცოდნისა და შესაძლებლობების გაძლიერებას პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების შესამუშავებლად. იგი ხუთ დამოუკიდებელ ინსტრუმენტს მოიცავს:

## ODIHR-ის ინსტრუმენტები ეუთოს რეგიონში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად

- **ინსტრუმენტი 1: შესავალი** განმარტავს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას და აღწერს ეფექტური პრევენციის, მსხვერპლთა დაცვის, დამნაშავეთა სამართლებრივი დევნისა და პოლიტიკის კოორდინაციის საკითხებს.

- **ინსტრუმენტი 2: პარლამენტებისთვის** წარმოადგენს მონაცემებსა და კარგი პრაქტიკების ნიმუშებს პარლამენტებისთვის სახელმძღვანელოდ და

პარლამენტში და პარლამენტს მიღმა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ღონისძიებების შესამუშავებლად.

- **ინსტრუმენტი 3: პოლიტიკური პარტიებისთვის** ეხმარება პოლიტიკურ პარტიებს, გადადგან ნაბიჯები თავიანთ სტრუქტურებში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

- **ინსტრუმენტი 4: სამოქალაქო საზოგადოებისთვის** მიმოიხილავს სამოქალაქო საზოგადოებისა და ქალთა მოძრაობების როლს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

- **ინსტრუმენტი 5: პოლიტიკაში ჩართული ქალებისთვის** წარმოადგენს გზამკვლევს ამ სახის ძალადობის შედეგად პირდაპირ ან არაპირდაპირ დაზარალებული ქალებისთვის, როგორ მიიღონ დახმარება და დაცვის საშუალებები.

# შესავალი

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას სულ უფრო ხშირად აღიარებენ ქალთა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის ხელშემშლელ ბარიერად.[1] თუმცა იგი პოლიტიკური ძალადობის არსებული განსაზღვრების (რომელიც პოლიტიკურ ოპონენტებზე ფიზიკურ თავდასხმას გულისხმობს) უბრალო გენდერული სახესხვაობა კი არ არის, არამედ სხვა ფენომენია, სადაც მრავალი სხვადასხვა ტაქტიკა გამოიყენება პოლიტიკური და საჯარო ცხოვრებიდან ქალების, *როგორც ქალების*, გასარიყად.[2]

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის თაობაზე მრავალი მოწოდება ისმის მსოფლიოში. ეს საკითხი 2021 წელს გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის 65-ე სხდომის პრიორიტეტულ თემად გამოცხადდა.[3] #NotTheCost კამპანიის მეხუთე წლისთავზე მსოფლიოსადმი მოწოდებაში ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა აქტორმა, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მთავრობებმა, პარლამენტებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა, ტრადიციულმა მედიასაშუალებებმა და სოციალური მედიის პლატფორმებმა უნდა გადადგან ნაბიჯები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.[4]

წინამდებარე ინსტრუმენტი მიმოიხილავს სამოქალაქო საზოგადოებისა და ქალთა მოძრაობების როლს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.[5] 'სამოქალაქო საზოგადოება' აქ ფართო გაგებით გამოიყენება და მასში იგულისხმება მოქალაქეების მიერ მართული ორგანიზაციები, პოლიტიკის ფორმალურ ფარგლებს გარეთ მომუშავე ქსელები და კოალიციები, რომლებშიც შესაძლოა გარკვეული პოლიტიკოსები და სახელმწიფო მოხელეებიც შედიოდნენ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები.

1 მონა კრუკი და ჯულიანა რესტრეპო სანინი, "გენდერული და პოლიტიკური ძალადობა ლათინურ ამერიკაში: ცნებები, დებატები და გადაწყვეტის გზები", Política y gobierno, 23.1, Ciudad de México, ene./jun. 2016.

2 მონა ლენა კრუკი, *პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა*, (აშშ: Oxford University Press 2020).

3 იხილეთ მეტი: <https://www.unwomen.org/en/csw/csw65-2021> (ნანახია 2022 წლის 15 ივლისს).

4 "პოლიტიკური მონაწილეობა და პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში", ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, სარაევო, თებერვალი, 2021 <https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Preliminary%20Report%20-%20Violence%20Against%20Women%20in%20Politics%20in%20Southeastern%20Europe.pdf>.

5 წინამდებარე ინსტრუმენტებში 'პოლიტიკაში ჩართულ ქალებში' იგულისხმება ის ქალები, რომლებსაც ოფიციალური პოლიტიკური როლი აქვთ (მაგალითად, კანდიდატები, პოლიტიკური პარტიების წევრები და არჩეული ან დანიშნული თანამდებობის პირები). თუმცა, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით, აქტივისტმა ქალებმაც შეიძლება განიცადონ სხვადასხვა ფორმის ძალადობა.

მართალია, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს დამნაშავეთა პირდაპირი დასჯის უფლებამოსილება არ გააჩნიათ, მათ შეუძლიათ, წვლილი შეიტანონ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში და ხელი შეუწყონ ამ თემაზე საჯარო დისკუსიასა და საკანონმდებლო ჩარჩოს შესწორებას, რაც, საბოლოო ჯამში, პოზიტიურ ცვლილებებს გამოიწვევს, მათ შორის, სოციალური ჩვევებისა და ფასეულობების ცვლილებას; მათ შეუძლიათ ასევე დახმარება აღმოუჩინონ ძალადობის მსხვერპლ ქალებს.

ქალთა ორგანიზაციებს, მათი პროფილისა და ქალთა მიმართ ძალადობისა და ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის თემებზე მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით, განსაკუთრებით კარგი შესაძლებობა შეიძლება ჰქოდეთ, გადადგან კონკრეტული ნაბიჯები.

ქვემოთ აღწერილია ოთხი ძირითადი სტრატეგია, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ სამოქალაქო საზოგადოების აქტორებმა: ცნობიერების ამაღლება, მონაცემთა შეგროვება, უფრო უსაფრთხო გარემოს შექმნა და მობილიზება პოლიტიკის რეფორმირებისთვის. თითოეული ეს კატეგორია უფრო კონკრეტულ ინიციატივებს მოიცავს და, ძირითადად, ეუთოს რეგიონიდან აღებულ მაგალითებს ეყრდნობა. თუმცა, სადაც რელევანტურია, მსოფლიოს სხვა რეგიონებიდან აღებული შემთხვევებიც არის განხილული, რათა თვალსაჩინო იყოს, კიდევ რა მეთოდების გამოყენება შეუძლია სამოქალაქო საზოგადოებას პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლაში წვლილის შესატანად.



# ახალი კარგი პრაქტიკები

## ცნობიერების ამაღლება

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ყველა ძალისხმევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცნობიერების ამაღლება, რადგან იგი პრობლემის აღიარების საფუძველს და მისი გადაჭრის მოტივაციას აჩენს. ეუთოს რეგიონის ბევრ ქვეყანაში და სხვაგანაც პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა არ არის სათანადოდ გააზრებული და აღიარებული, როგორც გადასაჭრელი 'პრობლემა'.[6] თუმცა, ბოლო წლებში, ეუთოს რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები სხვადასხვა მიდგომას იყენებენ ამ პრობლემაზე სასაუბროდ და ქალთა გამოცდილებების გასახმოვანებლად.

### ღია წერილები და მანიფესტები

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ხმის ასამაღლებლად ღია წერილებისა და მანიფესტების გამოქვეყნება ერთ-ერთ ტაქტიკად გამოიყენება. მაგალითად, **იტალიაში** ქალების, უფლებებისა და თანაბარი შესაძლებლობების შესახებ საპარლამენტო ინტერფრაქციულმა ჯგუფმა 2016 წელს ერთ-ერთ მთავარ გაზეთში გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც დაგმო იტალიის პოლიტიკაში ქალების წინააღმდეგ მიმართული „ვულგარული შეურაცხყოფები" და „სექსისტური გამოსვლები". ჯგუფის წევრების აზრით, ამგვარი მოქმედება „კვებავს და ლეგიტიმაციას აძლევს

6 "ჩრდილოეთ მაკედონიაში პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობა: შეფასების ანგარიში", ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, სკოპიე, სექტემბერი, 2020, <https://www.ndi.org/sites/default/files/Win with Women VAW-PP Assessment Report ENG.pdf>.

საზოგადოებაში, სამუშაო ადგილზე, დაწესებულებებში, პოლიტიკურ ცხოვრებასა და მედიაში ქალთა დამცირებასა და დისკრიმინაციას".[7]

ეს სტრატეგია ფართოდ გამოიყენება **საფრანგეთში** სექსუალური ძალადობისა და შევიწროების პრობლემისთვის ყურადღების მისაქცევად. 2016 წელს 500-ზე მეტმა მამაკაცმა და ქალმა აქტივისტმა და არჩევითი თანამდებობის პირმა ერთობლივი მოწოდება გაავრცელა პოლიტიკაში სექსუალური შევიწროების დაუსჯელობის აღსაკვეთად (იხილეთ ქვემოთ ასევე ქვეთავი "ჰეშთეგ აქტივიზმი").[8] რამდენიმე დღის შემდეგ 17-მა ყოფილმა მინისტრმა ქალმა, რომლებიც სხვადასხვა იდეოლოგიის მქონე პარტიებს წარმოადგენდნენ, ერთობლივი განცხადებით დაგმო სექსისტური გამონათქვამები და ქცევები ფრანგულ პოლიტიკაში.[9] იმავე წელს საფრანგეთის პარლამენტის ქალმა თანამშრომლებმა ჩამოაყალიბეს გაერთიანება *Chair Collaboratrice*, რომლის მიზანიც ამ პრობლემის შესახებ ცნობიერების ამაღლება იყო. მათ ჰქოდათ საკუთარი ვებგვერდი და ტვიტერის ანგარიში, სადაც თანამშრომელი ქალების მიერ განცდილი ძალადობის ანონიმურ ისტორიებს აქვეყნებდნენ.[10]

## ჰეშთეგ აქტივიზმი

სოციალური მედიის პლატფორმების მზარდ პოპულარობასთან ერთად, აქტივისტების ახალ ინსტრუმენტად იქცა ჰეშთეგი, რაც მათ საკუთარი გზავნილების გავრცელებასა და, ამავე დროს, ერთმანეთთან დაკავშირებაში ეხმარება. ამდენად, სოციალურ მედიაში ჰეშთეგების გამოყენება ცნობიერების ამაღლებისა და ძალადობის მსხვერპლთათვის სოლიდარობის გამოხატვის კიდევ ერთ გზაა. ჰეშთეგებით შესაძლებელია კონკრეტული თემის გარშემო საზოგადოებაში უფრო ფართო დისკუსიის გაჩაღება, რაც, საბოლოო ჯამში, შესაძლოა ცვლილების მომტანი აღმოჩნდეს. 2016 წელს **ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა** წამოიწყო #NotTheCost ჰეშთეგ კამპანია, რომელიც პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მისი გლობალური კამპანიის ნაწილი იყო. ჰეშთეგის მიზანია იმ არგუმენტის გაქარწყლება, რომ ქალებისთვის ძალადობა უბრალოდ 'პოლიტიკის კეთების საფასურია'.

7 "კმარა პოლიტიკაში ქალთა მიმართ შეურაცხყოფა", la Repubblica, 18 მარტი, 2016, <https://www.repubblica.it/politica/2016/03/18/news/_basta_con_gli_insulti_per_le_donne_in_politica_-135798110/>.

8 "შევიწროება და პოლიტიკა: დაუსჯელობის დასრულება", Libération, 9 მაისი, 2016, <https://www.liberation.fr/france/2016/05/09/harcelement-et-politique-pour-que-l-impunite-cesse_1451542/>.

9 "სექსუალური შევიწროება: 'დაუსჯელობა დასრულდა'", Le Journal du Dimanche, 21 ივნისი, 2017, <https://www.lejdd.fr/Politique/Harcelement-sexuel-L-impunite-c-est-fini-785595>.

10 Chair Collaboratrice, ტვიტერის ანგარიში, <https://twitter.com/chaircollab?lang=en>.

2016 წელს ფრანგმა ქალმა აქტივისტებმა და პოლიტიკოსებმა ჰეშთეგი #levonslomerta („კმარა დუმილი“)[11] გამოიყენეს და სექსუალურად აგრესიული ქცევისთვის მამაკაცების პასუხისმგებლობის დაყენება მოითხოვეს.[12] 16,000-ზე მეტმა მხარდამჭერმა მოაწერა ხელი პეტიციას, რომელიც პოლიტიკური პარტიების ლიდერებისგან, ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტებისგან, სენატისა და **საფრანგეთის** სხვა პოლიტიკური ინსტიტუციებისგან მოითხოვდა ქმედითი ნაბიჯების გადადგმას პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და ინსტიტუციებში ქალთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად. პეტიციაში მითითებული იყო კონკრეტული ზომები, მაგალითად, მოძალადეების პოლიტიკიდან გარიცხვა, პარტიების პროცედურებსა თუ წესდებებში სექსუალურ ძალადობასთან ბრძოლის პრიორიტეტად გამოცხადება და მხარდამჭერი ერთეულის ჩამოყალიბება, რომელიც მსხვერპლებს დაეხმარებოდა ინფორმაციის შეტყობინების საქმეში, განსაკუთრებით სამართალწარმოების თვალსაზრისით.[13]

ევროპის რეგიონში ამ თემაზე ჰეშთეგები სამოქალაქო ორგანიზაციებმაც შექმნეს. 2018 წლის მარტში **ევროპის პარლამენტის** თანამშრომლებმა #MeTooEP ჰეშთეგ კამპანია წამოიწყეს ამ ინსტიტუციაში სექსუალური შევიწროების პრობლემისთვის ყურადღების მისაქცევად.

#LiftHerUp ჰეშთეგი ბევრ სხვადასხვა კოტექსტში იქნა გამოყენებული, მათ შორის, **კანადაში**, სადაც ალბერტას ქალების თავშესაფართა საბჭომ წამოიწყო #LiftHerUp კამპანია „იმ ქალთმოძულე ლოზუნგების წინააღმდეგ, რომლებიც ისმოდა უცხოეთშიც და ალბერტას საკანონმდებლო ორგანოს შენობის კიბეზეც კი“. 2021 წლის ალბერტას მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს შესთავაზეს, ხელი მოეწერათ...“(a) Lift Her Up ვალდებულებაზე“. ამ ხელმოწერით კანდიდატები, inter alia, პირობას დებენ, პატივისცემით მოეპყრან ქალებს წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებისას, ხოლო არჩევის შემთხვევაში, პატივისცემით მოეპყრან ყველა კანდიდატს, აღკვეთონ სექსისტური და ძალადობრივი ქცევები და გაატარონ პოლიტიკა ყველა ფორმის ძალადობის აღმოსაფხვრელად.

2020 წელს NYTKIS-მა, **ფინეთში** მოქმედმა ქალთა ორგანიზაციების კოალიციამ #ElectionsWithoutHate კამპანია წამოიწყო, რათა ყურადღება გაემახვილებინა ფინეთის არჩევნებში ქალების (განსაკუთრებით, რასობრივი უმცირესობების წარმომადგენელი ქალების) მიმართ

11 Omertà (მაფიოზურ წრეებში) კრიმინალური საქმიანობის შესახებ დუმილის კოდექსია და პოლიციისთვის ჩვენების მიცემაზე უარს ითვალისწინებს: ‘ომერტას აღთქმის ერთგულება’, <https://www.lexico.com/definition/omerta>.

12 “სექსუალური შევიწროება: შეტევა ფრანგულ პოლიტიკურ ‘დაუსჯელობაზე’“, ბიბისის ახალი ამბების ვებგვერდი, 10 მაისი, 2016, <https://www.bbc.com/news/world-europe-36258033>.

13 “სექსუალური ძალადობა პოლიტიკაში: #levonslomerta!”, Change.org, 2016, <https://www.change.org/p/violences-sexuelles-en-politique-levons-l-omerta?fbclid=IwAR2rbsh5njrZ6rbLowo9QycG6RZ9Pmpo7kvHq4RrUNlTIj37Tu591P6XNu0>.

სიძულვილის ენის გამოყენებასა და შევიწროებაზე. NYTKIS-ის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ადგილობრივ პოლიტიკაში მონაწილე ქალები მნიშვნელოვნად უფრო ხშირად ხდებოდნენ სიძულვილის ენის მსხვერპლი, ვიდრე მათი კოლეგა მამაკაცები და სიძულვილის შემცველი გამონათქვამების დიდი ნაწილი კონკრეტულად მათ სქესთან იყო დაკავშირებული. აღნიშნული კამპანია მომხრეებს ამ ჰეშთეგის გამოყენებისკენ, სიძულვილის ენის წინააღმდეგ დისკუსიებში მონაწილეობისკენ და სიძულვილის ენის მსხვერპლი კანდიდატების მხარდაჭერისკენ მოუწოდებდა.[14]

## ქალთა ქსელები

დიდი ხანია, ქალები პოლიტიკაში ნავიგაციისთვის ფორმალურ და არაფორმალურ ქსელებს იყენებენ. ქალები ერთმანეთს უკავშირდებიან, რათა გაძლიერდნენ, გავლენა გააფართოონ, კარგი პრაქტიკები გამოიყენონ და მხარდაჭერის ჯგუფი შექმნან. 2014 წელს **უკრაინაში** ქალებმა მედიასა და პოლიტიკაში სექსიზმის წინააღმდეგ წამოიწყეს კამპანია Respect, რომლის მიზანიც იყო პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა. მათი ვებგვერდი *Povaha* (Respect)[15] ონლაინ შინაარს, ადვოკატირების კამპანიებსა და სხვა ღონისძიებებს აერთიანებს. Respect კამპანიის მიზანია, უფრო თანაბარი პირობები შეიქმნას ქალი პოლიტიკოსებისთვის და, ამავე დროს, ქალი ექსპერტებისა და საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მქონე ქალების ხილვადობა გაიზარდოს. კამპანიის ავტორები სექსიზმს პირდაპირ უკავშირებენ პოლიტიკურ უთანასწორობას და აცხადებენ: „სქესის ნიშნით პოლიტიკოსთა გასაშავებელ კომენტარებსა და შენიშვნებს ზიანი მოაქვს – ამომრჩეველთა ნდობის დაკარგვას იწვევს და შედეგად ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი არ არის სამართლიანი პროპორციით წარმოდგენილი მთავრობასა და საჯარო სამსახურებში"[16].

**ჩრდილოეთ მაკედონიაში** ქალმა პოლიტიკოსებმა, პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით განცდილ ძალადობაზე საუბრისას, ხაზი გაუსვეს სხვა კოლეგა ქალთა (მათ შორის, სხვა პოლიტიკური პარტიების

14 "ქალთა ორგანიზაციების კამპანია სიძულვილის ენისა და შევიწროების წინააღმდეგ", NYTKIS-ის ვებგვერდი, 18 აგვისტო, 2020, <https://www.sttinfo.fi/tiedote/naisjarjestot-kampanjoivat-vihapuhetta-ja-hairintaa-vastaan?publisherId=69817644&releaseId=69886428>.

15 <https://povaha.org.ua/>.

16 ტანია ლოკოტი, "ქალები და ციფრული ადვოკატირება ევრომაიდნის შემდგომ უკრაინაში", Global Voices Exchange, 27 იანვარი, 2016, <https://rising.globalvoices.org/exchange/2016/01/27/women-and-digital-advocacy-in-post-euromaidan-ukraine/>.

წარმომადგენელთა) მიერ გამოხატული სოლიდარობისა და მხარდაჭერის მნიშვნელობას. ფოკუს ჯგუფის დროს ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა: „კოლეგა ქალებისგან მიღებულმა მხარდაჭერამ გამიჩინა დუმილის დარღვევისა და პასიური მდგომარეობიდან გამოსვლის მოტივაცია". მეორე მონაწილემ კი თქვა: „ჩემთვის ბევრს ნიშნავდა მხარდამჭერი პირადი გზავნილები. დავინახე, რომ ასეთი რამ სხვა პოლიტიკოს ქალებსაც გამოუცდიათ და ამან მომცა სიმტკიცე და გამბედაობა, ხმამაღლა მესაუბრა".[17]

17 NDI, "ჩრდილოეთ მაკედონიაში პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობა", *op. cit.*, სქ. 6.

## პარტნიორობა მამაკაცებთან

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ თანამოაზრე მამაკაცებსაც, თუკი თავიანთ ძალაუფლებასა და პრივილეგიებს ამ პრობლემისადმი მეტი ყურადღების მისაპყრობად გამოიყენებენ. 2021 წლის დასაწყისში **მონტენეგროში** „ქალთა პოლიტიკურმა ქსელმა" პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე კონფერენცია მოაწყო მონტენეგროს პარლამენტთან და გაეროს განვითარების პროგრამასთან თანამშრომლობით. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო აღნიშნული ქსელის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც მონტენეგროში ათიდან ცხრა პოლიტიკოსი ქალი გენდერული დისკრიმინაციის, ხოლო ათიდან შვიდი პოლიტიკური საქმიანობის გამო რაიმე ფორმის ძალადობის მსხვერპლი გამხდარა.[18] კონფერენცია მონტენეგროს პარლამენტის მამაკაცმა თავმჯდომარემ, ალექსა ბეჩიჩმა გახსნა, რომელმაც დაგმო ხშირი „სექსისტური, ქალთმოძულე და, ზოგადად, დისკრიმინაციული კომენტარები ან ფოტო და ვიდეო მასალები... პოლიტიკაში ჩართული ქალების შესახებ."[19]

2021 წელს **ჩრდილოეთ მაკედონიის** რამდენიმე ცნობილმა პოლიტიკოსმა მხარი დაუჭირა კამპანიას „შემოხაზე 'არა' პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საპასუხოდ". შრომისა და სოციალური პოლიტიკის ქალმა მინისტრმა, იაგოდა შაპასკამ ფეისბუქზე დაწერა, რომ პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობა ხშირად წინასაარჩევნო კამპანიების დროს იზრდება და მოქალაქეებს მოუწოდა, ებრძოლათ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, „იმისდა მიუხედავად, რომელ ქალ პოლიტიკოსს წარვადგენთ ან რომელ ქალ პოლიტიკოსს ვაძლევთ ხმას".[20] მის გზავნილს მხარი დაუჭირა ქალაქ ცენტარის მამაკაცმა მერმა, საშა ბოგდანოვიჩმა, რომელმაც ასევე მოუწოდა მოქალაქეებს, ჩართულიყვნენ ამ კამპანიაში და აღეკვეთათ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა, რაც, მისი განცხადებით,

18 დანიელა გასპარიკოვა, "ქალ პოლიტიკოსთა მიმართ ძალადობა: გენდერული თანასწორობის მიუღებელი საფასური", გაეროს განვითარების პროგრამა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, 29 ივნისი, 2021, <https://www.eurasia.undp.org/content/rbec/en/home/blog/2021/violence-against-women-politicians-montenegro-parliament.html>.

19 "კონფერენცია პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე", მონტენეგროს პარლამენტის ვებგვერდი, 5 მარტი, 2021, <https://www.skupstina.me/en/articles/conference-on-violence-against-women-in-politics-2>.

20 "შაპასკა: შემოხაზე „არა" პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საპასუხოდ", Daily News-ის ვებგვერდი, 30 აგვისტო, 2021, <https://www.txtreport.com/news/2021-08-30-shahpaska--to-surround-%22no%22-to-violence-against-women-in-politics.ByGwfd9WK.html>.

პოლიტიკაში ქალთა დაბალი წარმომადგენლობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი იყო.[21]

## საზოგადოების განათლება

საბოლოო სტრატეგიაა ძალადობის თემაზე კამპანიების წარმართვა საზოგადოების განათლებისთვის. 2016 წელს „ქალთა მედიაცენტრმა" Kickstarter-ის მეშვეობით ფული შეაგროვა **ამერიკის შეერთებულ შტატებში** პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მოკლე საგანმანათლებლო ვიდეორგოლის შესაქმნელად. ეს ვიდეო 2017 წელს გამოქვეყნდა ინტერნეტში და მასში რვა (როგორც დემოკრატი, ისე რესპუბლიკელი) ქალის გამოცდილება იყო აღწერილი. ესენი იყვნენ ქალები, რომელთაც მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული არჩევნებში ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა პოლიტიკური თანამდებობის დასაკავებლად (იქნებოდა ეს სკოლის, გუბერნატორის თუ კონგრესის არჩევნები).[22] 2019 წლის მონაცემებით, ამ რგოლმა 30,000-ზე მეტი ნახვა დააგროვა.

21 "ბოგდანოვიჩი პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ", Slobodenpecat-ის ვებგვერდი, ნანახია 2022 წლის 6 ოქტომბერს, <https://www.slobodenpecat.mk/en/bogdanovikj-protiv-nasilstvoto-vrz-zhenite-vo-politikata/>.

22 "პოლიტიკაში ჩართული ქალები განიხილავენ ონლაინ შევიწროებას", ქალთა მედიაცენტრი, 7 ნოემბერი, 2017, <https://womensmediacenter.com/speech-project/nameitchangeit>.

## მონაცემთა შეგროვება

მთელ მსოფლიოში ქალთა მოძრაობებისთვის მნიშვნელოვანი გახდა მონაცემთა შეგროვება. აქტივისტებს კარგად ესმით, რომ ხშირად კონკრეტული მონაცემები აუცილებელია პრობლემის არსებობის დასამტკიცებლად და, ასევე, დროთა განმავლობაში პროგრესისა თუ უკუსვლის გასაზომად. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობაზე ცოდნის ნაკლებობის აღმოსაფხვრელად, ეუთოს რეგიონში სამოქალაქო ორგანიზაციები სხვადასხვა მეთოდს იყენებენ ამ პრობლემის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელებისთვის.

### ინფორმაციის შეტყობინების ალტერნატიული მექანიზმები

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთ უსწრაფეს გზას ინფორმაციის შეტყობინების ალტერნატიული მექანიზმების შექმნა წარმოადგენს. 2017 წელს **გაერთიანებულ სამეფოში**, #MeToo მოძრაობის კვალდაკვალ, ლეიბორისტული პარტიის წევრმა ქალებმა ვებგვერდ #LabourToo-ს შექმნა გადაწყვიტეს, რათა პარტიის წევრი ქალების ისტორიები შეეგროვებინათ და შემდგომში მოკლე ანგარიშის სახით წარედგინათ პარტიის ლიდერებისთვის (იხ. „ინსტრუმენტი პოლიტიკური პარტიებისთვის", სადაც ეს შემთხვევა დეტალურად არის განხილული). ეს ვებგვერდი 2017 წლის ოქტომბერში ამოქმედდა და ქალებს „ოჯახური ან სექსუალური ძალადობის, შევიწროების ან დისკრიმინაციის გამოცდილების შესახებ ანონიმურად საუბრის შესაძლებლობა მისცა". ორგანიზატორები აღიარებდნენ, რომ ამ პრობლემაზე ხმამაღლა საუბარი რთული იყო, მაგრამ აღნიშნავდნენ, რომ მათი მიზანი იყო, „თავი მოეყარათ ინფორმაციისთვის ძალადობის იმ ფორმების შესახებ, რასაც ქალები განიცდიან და ძალიან ხშირად შეუმჩნეველი რჩება, ან ყურადღება არ ექცევა და მიჩქმალულია".

ამ პროცესის შედეგად მომზადებული ანგარიში 2018 წლის თებერვალში წარუდგინეს პარტიის ლიდერებს. ანგარიშის თანახმად, ქალების ჩვენებებში ექვსი საერთო თემა გამოიკვეთა: პრობლემატური პირების შესახებ „ყველამ იცოდა", თუმცა მათ წინააღმდეგ არანაირი ნაბიჯები არ გადადგმულა; პარტიაში ფორმალური საჩივრების ან დისციპლინური პროცესებისადმი ნდობა პრაქტიკულად არ არსებობდა; ქალებს არ ჰქონდათ მხარდაჭერა, რომ საჩივრები შეეტანათ და ზოგჯერ მათ აიძულებდნენ კიდეც, რომ ეს არ გაეკეთებინათ; პარტიის წევრებისთვის არ არსებობდა ინსტრუქციები და უსაფრთხოების ზომები; მამაკაც წევრებს ხშირად არ ესმოდათ, რას ნიშნავს სექსუალური შევიწროება; ქალებზე ხშირად ძალადობნენ არჩეული თანამდებობის პირები.

## მონაცემთა შეგროვება ‘ქრაუდსორსინგის’ მეშვეობით

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემთა შეგროვების კიდევ ერთი მიდგომაა ‘ქრაუდსორსინგი’, რომელიც ინტერნეტმომხმარებელთა დიდი და მზარდი ჯგუფისთვის მონაცემთა მიწოდების შესაძლებლობას ქმნის. 2015 წელს **მოლდოვაში** 32 არასამთავრობო ორგანიზაციისა და აქტივისტებისგან შემდგარმა ქსელმა „გენდერული თანასწორობის პლატფორმა“ შექმნა, რომელიც მათი საერთო ხმა უნდა გამხდარიყო გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის საქმეში. 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე მათ შექმნეს „გენდერული მონიტორი“,[23] ონლაინ სივრცე, სადაც აისახებოდა საჯარო სფეროში სექსიზმისა და წინასაარჩევნო კამპანიისას ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები. პლატფორმა ყველა მოქალაქეს (მათ შორის, მოწმეებსა და მსხვერპლებს) მოუწოდებს, ამგვარი ინციდენტების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს სპეციალური ონლაინ ინსტრუმენტის, *ushahidi*-ს მეშვეობით, რომელიც ამ შემთხვევებს აგროვებს, ინახავს და გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას უთითებს მუდმივად განახლებად რუკაზე.

ინფორმაციის შესატანად მომხმარებლებმა სისტემაში ავტორიზაცია უნდა გაიარონ, რათა სისტემა დარწმუნდეს, რომ შეტყობინება რეალური ადამიანისგან მოდის. შემდეგ ამ ინფორმაციას კონკრეტული ადამიანი ამოწმებს და უზრუნველყოფს, რომ ინფორმაცია არ შეიცავდეს პირად მონაცემებს ან არ აღვივებდეს სიძულვილსა და დისკრიმინაციას. რადგან პლატფორმის მიზანია, მონაცემები საჯარო იყოს, თავად რუკის სანახავად ავტორიზაციის გავლა საჭირო არ არის. ინციდენტების შესახებ ფორმალური საჩივრების წახალისების მიზნით, ავტორიზაციის გავლა საჭირო არ არის ასევე სახელმწიფო ორგანოებისთვის გასაგზავნი ფორმების ჩამოსატვირთად.

23 <https://gender.monitor.md/ >.

## ორიგინალური კვლევები

ეუთოს რეგიონში სულ უფრო მეტი სამოქალაქო ორგანიზაცია ატარებს ორიგინალურ კვლევებს პოლიტიკაში ქალთა შესახებ. ამ კვლევების მიზანია პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბის შეფასება და ქალებსა და მათ პოლიტიკურ საქმიანობაზე ამ ძალადობის ზეგავლენის უკეთ გააზრება. მაგალითად, La Strada Ukraine-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ 2018 წელს 100 ქალი პოლიტიკოსი და აქტივისტი მოიცვა. აღმოჩნდა, რომ **უკრაინაში** პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელებულ გამოვლინებებს შორის იყო სოციალურ ქსელებსა და მასმედიაში ქალთა დამცირების კამპანიები (ამგვარი შემთხვევები გამოკითხულთა 62%-მა ახსენა), ფსიქოლოგიური ძალადობა (59%), სექსისტური გამონათქვამები (59%), სიტყვიერი შეურაცხყოფა (58%) და სექსუალური შევიწროება (47%). ამის საპირისპიროდ, გამოკითხულთა მხოლოდ ერთმა მეოთხედმა (23.5%) აღნიშნა, რომ მათ პარტიას ჰქონდა შიდა პოლიტიკა ქალთა მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად.[24]

2019 წელს „ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდმა" დააფინანსა კვლევა **ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში** პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ. კვლევის ფარგლებში 37 ქალაქსა და დასახლებაში 83 სხვადასხვა ასაკისა და ეთნიკური წარმომავლობის ქალი პოლიტიკოსი გამოიკითხა. კვლევის კითხვარი 52 კითხვას შეიცავდა. გამოკითხვის გარდა, 18 ქალთან ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუ. რესპონდენტთა ნახევარზე მეტმა (60.2%) დაადასტურა, რომ პოლიტიკური საქმიანობის დროს პირადად განუცდია გარკვეული ფორმის ძალადობა. თითქმის ყველა რესპონდენტმა (96.4%) აღნიშნა, რომ ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო სიტყვიერი და ემოციური ძალადობა, ხოლო 10.8%-ის თქმით, ეს იყო ფიზიკური და სექსუალური ძალადობა.

მოძალადეთა შესახებ კითხვის პასუხად გამოკითხულთა 74.7%-მა დაასახელა სოციალური ქსელების მომხმარებლები, შემდეგ – ოპოზიციური პარტიის წევრები (66.3%) და საკუთარი პარტიის წევრები (47%). ინტერვიუებში მონაწილეთა თქმით, მათი კოლეგები ხანდახან დაშინებას იყენებდნენ, რომ ქალები პარტიის მორჩილი ყოფილიყვნენ. სხვები აღწერდნენ სიტუაციებს, სადაც სხვა პარტიების არჩევითი თანამდებობის პირები ეკონომიკურ ზეწოლას მიმართავდნენ, მაგალითად, ადგილობრივ საბჭოში დასაქმებულ ქალს ხელფასს არ აძლევდნენ, თუ მათი ბრძანებების შემსრულებელი არ გახდებოდა. მართალია, გამოკითხულთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ ძალადობა არ აშინებდა და არ აბრკოლებდა, ზოგიერთმა მათგანმა მაინც გადაწყვიტა, მაქსიმალურად გამქრალიყო საჯარო სივრციდან. ამაში იგულისხმებოდა საჯაროდ მოსაზრების გამოხატვისგან თავის

24 La Stada – Ukraine 2018, 10, 18. „პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა: უკრაინის შემთხვევა".

შეკავება, სოციალურ მედიაში პროფილის წაშლა და პოლიტიკიდან წასვლაც კი. ზოგიერთმა ქალმა ისიც აღნიშნა, რომ ყოველდღიური სტრესის გამო ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები შეექმნათ.[25]

NDI-ს დაკვეთით მსგავსი კვლევა 2020 წელს **ჩრდილოეთ მაკედონიაში** ჩატარდა. თუმცა, ზემოხსენებული კვლევებისგან განსხვავებით, იგი როგორც ქალ, ისე მამაკაც რესპონდენტებს მოიცავდა. კვლევის მონაწილეები შეარჩიეს ათი პოლიტიკური პარტიიდან, თითოეულიდან ათ-ათი ქალი და მამაკაცი (სულ 200 რესპონდენტი). ამათგან მამაკაცებს 27 კითხვაზე, ხოლო ქალებს 40 კითხვაზე უნდა გაეცათ პასუხი.

გარდა ამისა, ათი პარტიის მამაკაც და ქალ ლიდერებთან ოცი ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა, ხოლო შემდეგ, პარტიების მიხედვით – ათი ფოკუს ჯგუფი მხოლოდ ქალებისთვის (სულ 89 ქალმა მიიღო მონაწილეობა). ამ კვლევამ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ბევრი სხვადასხვა ფორმა გამოავლინა, მათ შორის, ინტიმური ხასიათის ან პირადი ინფორმაციისა და გამოსახულებების გავრცელება სოციალურ მედიაში, ცილისწამება და სხვა პირის მიერ მსხვერპლის სახელის გამოყენება ინტერნეტში, ფიზიკური კონფრონტაცია, ოჯახის წევრთა შევიწროება, ბულინგი პოლიტიკურ სივრცეებში და შეურაცხმყოფელი გამონათქვამები, რომლებითაც პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობა ამორალობად მიიჩნეოდა. გამოკითხულთა თქმით, ქალთა მიმართ მოძალადეები ყველაზე ხშირად მათივე პარტიის წევრები (54%), მათივე პარტიის არჩეული თანამდებობის პირები (22%), მათივე პარტიის ლიდერები (8%) და მათივე ოჯახის წევრები (16%) იყვნენ. კვლევაში მონაწილე ქალთა უმრავლესობამ (57%) აღნიშნა, რომ ძალადობა პირველად ადგილობრივ დონეზე პოლიტიკური საქმიანობისას განიცადეს, თუმცა ცოტა მათგანმა შეატყობინა ამის შესახებ სახელმწიფო ორგანოებს. ძალადობამ მათზე მრავალგვარი ზეგავლენა იქონია, მათ შორის იყო ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ოჯახური ურთიერთობების გაუარესება, შიში საკუთარი და ოჯახის წევრთა სიცოცხლის გამო და თვითცენზურა, რომელიც ქალებს გამოხატვის თავისუფლებას უზღუდავდა.[26]

**ყირგიზეთში** არასამთავრობო ორგანიზაცია „სოციალური ტექნოლოგიების სააგენტომ" ქვეყნის პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე კვლევა ჩაატარა. კვლევამ, რომელიც ეუთოს პროგრამების ბიშკეკის ოფისის დაკვეთითა და ODIHR-ის მოწონებული მეთოდოლოგიით იქნა ჩატარებული, აჩვენა, რომ საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებში მონაწილე ქალი კანდიდატები და დეპუტატები სხვადასხვა ფორმის ძალადობას განიცდიდნენ: გამოკითხულ ქალთა 97%-ს სმენოდა ქალ პოლიტიკოსთა სექსუალური შევიწროების შემთხვევათა შესახებ, 32%-ს მიუღია პერსონალური მუქარა და/ან ოჯახის წევრებსა და მეგობრებზე მიმართული

25 მიფტარი 2019, 4, 31, 28. „ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა".

26 NDI, „ჩრდილოეთ მაკედონიაში პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობა: შეფასების ანგარიში".

მუქარა, 15%-ს მოუსმენია შეურაცხმყოფელი და სექსისტური შენიშვნები, ხოლო 2% ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი გამხდარა. ქალების თქმით, ერთ შემთხვევაში, ძალადობამ მათ სადეპუტატო მუშაობის მოტივაცია გაუძლიერა, მაგრამ, მეორე შემთხვევაში, პოლიტიკური კარიერის დასრულება აიძულა, გაუჩინა შიში საკუთარი და ოჯახის წევრთა უსაფრთხოების გამო და იზოლაციისკენ უბიძგა. ქალებმა ასევე აღნიშნეს, რომ ძალადობამ ხელი შეუშალა მათ საკუთარი მოვალეობების შესრულებასა და პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვაში.

## საჯარო დისკურსი და ენა

სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებმა ყურადღება გაამახვილეს უფრო ფართო პოლიტიკურ გარემოზე – რამდენად ასახავს და ხელს უწყობს იგი პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას. **მოლდოვაში**, 2021 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, „გენდერული თანასწორობის პლატფორმა“ ორი თვის მანძილზე აკვირდებოდა სექსისტურ დისკურსს. პროექტს გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და შვედეთის მხარდაჭერით ახორციელებდნენ ასოციაცია Promo-LEX, “ქალთა ასოციაცია თანამედროვე საზოგადოებისათვის“, AFINA, RCTV Memoria და „გენდერული ცენტრი“.

ანგარიშში, სხვა თემებთან ერთად, გაანალიზებული იყო შემდეგი საკითხები: კანდიდატებისა და მედიის მიერ პოლიტიკაში გენდერული ენის გამოყენება; გენდერული ასპექტები მამაკაცი და ქალი კანდიდატების გზავნილებსა და სიტყვებში; კანდიდატებისა და მედიის მიერ გენდერული მეინსტრიმინგი წინასაარჩევნო დებატებში; გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით პოლიტიკური პარტიების პოსტები სოციალურ მედიაში. კვლევამ აჩვენა, რომ სექსისტური დისკურსის გარკვეული ფორმები ძალზე გავრცელებული იყო, მაგალითად: მოწინააღმდეგე კანდიდატების მიერ ქალებისთვის შეურაცხმყოფელი იარლიყების მიწებება; პოლიტიკურ აქტორებზე საუბრისას „მამაკაცური“ ენის გამოყენება; სექსისტური ხუმრობები და ვულგარული გამოთქმები ქალი კანდიდატების მისამართით. ანალიზმა ცხადყო ისიც, რომ პოლიტიკური დებატების დროს კანდიდატებს შორის ფიზიკური და ემოციური აგრესია არსებობდა. [27]

27 “მოლდოვის რესპუბლიკაში 2021 წლის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დროს საჯარო სივრცეში გამოყენებული სექსისტური ენა, როგორც არჩევნებში ქალთა მიმართ ძალადობის ფორმა (VIFA): ანგარიში“, გენდერული თანასწორობის პლატფორმა, 15 ოქტომბერი, 2021, <https://egalitatedegen.md/raport-discursul-sexist-spatiul-public-si-perioada-alegerilor-parlamentare-anticipate-din-2021-republica-moldova-ca-forma-violentei-impotriva-femeilor-alegeri-vifa/>.

## ონლაინ ქცევა და დეზინფორმაცია

სხვა პროექტები ონლაინ შევიწროებასა და ძალადობას იკვლევს და აღწერს, როგორია პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ეს ფორმა, ასევე, რას ნიშნავს ონლაინ ქცევა დემოკრატიისა და გენდერული თანასწორობისთვის. „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა" **უკრაინაში** ჩატარებული კვლევის ფარგლებში შეისწავლა 2014 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში მამაკაცი და ქალი პოლიტიკოსების მიმართ ძალადობის 183 შემთხვევა. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აღმოჩნდა, შედარებით იშვიათი იყო ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარა, სოციალურ მედიაში ხშირი იყო ქალი პოლიტიკოსების მიმართ ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის შემცველი პოსტები.

ფსიქოლოგიური ძალადობის გავრცელებულ ფორმებს შორის იყო ბრალის დადება ამორალურ ქცევაში, დაბალ ინტელექტსა და კომპეტენციაში, უცენზურო ლექსიკასა და ქსენოფობიაში, ასევე, ოჯახის წევრებისა და მეგობრების მიმართ თავდასხმები. სექსუალური ძალადობა მოიცავდა მინიშნებებს გაუპატიურებასა თუ სექსუალურ შევიწროებაზე, ასევე, ქალების პროსტიტუციაში დადანაშაულებას. შედარებისთვის, მამაკაც პოლიტიკოსებს ხშირად თავს ესხმოდნენ მათი პოლიტიკური პოზიციის და არა პიროვნული იდენტობის გამო. ორივე შემთხვევაში, ძალადობა უფრო ხშირი და ხილული ხდებოდა საარჩევნო ციკლებისა და სხვა ისტორიული მოვლენების დროს (მაგალითად, პოლიტიკური პროტესტების პერიოდში).[28]



28 ოტიტო გრეგ-ობი, ირინა ლილიკი, გენადი კორჟოვი და ოლენა ბუჩუნსკა, "უკრაინის პოლიტიკაში ქალთა მიმართ ონლაინ ძალადობა: IFES-ის შეფასება, 2019", ნოემბერი, 2019, <https://www.readkong.com/page/online-violence-against-women-in-politics-in-ukraine-an-7341049>.

2020 წელს **პოლონეთში** Demos-მა ტვიტერიდან აღებული მონაცემების საფუძველზე ჩაატარა კვლევა სახელმწიფო დეზინფორმაციული კამპანიების შესახებ და კონკრეტულად გენდერული დეზინფორმაციის პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება. მკვლევართა დაკვირვებით, ტვიტერის ეს ანგარიშები მხოლოდ ყალბი ინფორმაციის გავრცელებას კი არ ცდილობდნენ, არამედ ასევე იყენებდნენ 'უაღრესად ემოციურ და შეფასებით ენას' მათი სამიზნეების დასაზიანებლად. ისინი იყენებდნენ არსებულ კლიშეებს, რათა მკითხველი დაერწმუნებინათ, რომ საჯარო ცხოვრებაში ჩართული ქალი იყო ან ცბიერი, ან სულელი, ან ზედმეტად სექსუალური, ან მფარველობას საჭიროებდა, ან ამორალური და, შესაბამისად, საჯარო თანამდებობისთვის შეუფერებელი. მკვლევართა დასკვნით, გენდერის 'იარაღად გამოყენების' ეს ძალისხმევა პოლიტიკიდან ქალთა განდევნის მიზანმიმართულ მცდელობას ასახავდა.[29]

## შერეული მიდგომები

მონაცემთა შეგროვების კიდევ ერთი მაგალითია ODIHR-ის მხარდაჭერითა და საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მკვლევართა მონაწილეობით ჩატარებული კვლევა, რომლის ფოსკუსშიც იყო **პოლონეთი**. ეს კვლევა ბევრ სხვადასხვა მეთოდს აერთიანებდა. ერთ ნაწილში მკვლევრებმა 12 ქალის (დეპუტატებისა და ადგილობრივ დონეზე თანამდებობის პირების) ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩაატარეს და ჰკითხეს, რა იყო მათთვის 'პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა'. მათი პასუხები ძალიან ჰგავდა სხვა ქვეყნების პოლიტიკოს ქალთა პასუხებს: სიძულვილის ენა ინტერნეტში, მათ შორის, გენდერული ნიშნით დამცირება, გარეგნობის შესახებ შეურაცხმყოფელი კომენტარები; ფიზიკური თავდასხმისა და გაუპატიურების მუქარა; სიტყვიერი ძალადობა პლენარული სესიებისა და საკომიტეტო სხდომების დროს; ფიზიკური აგრესია დემონსტრაციების, მიტინგებისა და სხვა პოლიტიკური აქტივობების დროს; ოფისისა და პირადი საკუთრების დაზიანება; და ქალთა დაცინვა და დამცირება გენდერული უთანასწორობის გასაძლიერებლად.

პროექტის მეორე ნაწილი პოლონეთში 2019 წლის წინასაარჩევნო კამპანიის ბოლო ორ კვირაში სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული პოსტების ანალიზს მოიცავდა. მკვლევრებმა ქალი კანდიდატების, პოლიტიკური პარტიებისა და ტრადიციული მედიასაშუალებების ანგარიშებზე გაამახვილეს ყურადღება და საკვლევად ტვიტერის 25 პროფილი შეარჩიეს. ანალიზის შედეგად გამოვლინდა: ფიზიკური ძალადობის მუქარები, ქალთა პირადი ცხოვრების გამოყენება მათი დისკრედიტაციისთვის,

29 ჯადსონი და სხვები, "სიძულვილის თესვა: გენდერული ხასიათის სახელმწიფო დეზინფორმაციის კონტურები ინტერნეტში", Demos, ოქტომბერი, 2020, <https://demos.co.uk/wp-content/uploads/2020/10/Engendering-Hate-Report-FINAL.pdf>.

სექსისტური შეურაცხყოფები და გენდერული ინსინუაციები, ქალთა სექსუალურ ცხოვრებაზე მინიშნებები, მათი ქალურობის ეჭვქვეშ დაყენება და ლაპარაკი ქალთა ემოციურობაზე – ეს ყველაფერი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა საერთოდ პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის უფლებას.[30]

## უფრო უსაფრთხო გარემოს შექმნა

სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობის მესამე მიმართულებაა, ქალებისთვის პოლიტიკა აქციონ უფრო უსაფრთო სფეროდ. იგი მოიცავს ძალადობასთან ბრძოლისა და მისი პრევენციის ინდივიდუალურ სტრატეგიებს (იხ. ასევე „ინსტრუმენტი პოლიტიკაში ჩართული ქალებისთვის") და ასევე უფრო კოლექტიური სახის მექანიზმებს, რომლებიც სოლიდარობის დემონსტრირებასა და უსაფრთხოებისთვის საჭირო უნარებით ქალების უკეთ აღჭურვას ითვალისწინებს. ეს ტაქტიკები ნაკლებად განვითარებულია ეუთოს წევრ სახელმწიფოებში, თუმცა მსოფლიოს სხვა რეგიონებიდან აღებული მაგალითების ნაციონალურ კონტექსტებზე მორგება მარტივად შესაძლებელი უნდა იყოს.

### კონტრნარატივი და სოლიდარობა

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე **გაერთიანებულ სამეფოში** ფართო მსჯელობა დაიწყო 2016 წლიდან, ქალი პარლამენტარის, ჯო კოქსის მკვლელობის შემდეგ. კოქსის კოლეგამ, ჯეს ფილიპსმა 2017 წელს გამოქვეყნებულ მემუარებში „ცეცხლის ხაზზე" მყოფ ქალთა მოკავშირეებს „ქალთმოძულეობის კონტრნარატივის უხვად შექმნისკენ" მოუწოდა. მისი თქმით, ყოველ ჯერზე, როცა ტელევიზიით გამოსვლას ან ისეთი რამის გაკეთებას დააპირებდა, რასაც ონლაინ სიძულვილი შეიძლება გამოეწვია (მაგალითად, ქალთა უფლებების თემაზე სიტყვით გამოსვლა), თავის მომხრეებს სთხოვდა, ტვიტერი პოზიტიური სიტყვებითა და სურათებით გადაევსოთ, რომ ეს სიძულვილი წაელეკა.[31] როცა 2015 წელს, არჩევიდან მალევე, ფილიპსმა სიკვდილისა და გაუპატიურების მრავალი მუქარა მიიღო, პარლამენტარმა კოლეგებმა მხარდაჭერის გამოსახატად #IstandWithJessPhillips ჰეშთეგიც გამოიყენეს.

ამ სტრატეგიის ავტომატიზებული ვერსიაა ParityBot, რომელიც 2019 წელს **კანადურმა** არასამთავრობო ორგანიზაცია Parity YEG-მა კომპიუტერულ პროგრამისტთან თანამშრომლობით შექმნა. მანქანური სწავლების მეთოდების გამოყენებით, ParityBot გამოავლენს ქალთა მიმართ ძალადობრივ

30 მალგოჟატა დრუჩიარეკი, ალექსანდრა ნიჟინსკა, „'ეს იმდენად გავრცელებული რამ არის, რომ მავიწყდება კიდეც', ქალთა მიმართ ძალადობა პოლონეთის პოლიტიკურ სცენაზე", საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, 2021, <https://www.isp.org.pl/en/publications/it-has-become-so-pervasive-that-i-keep-forgetting-about-it-violence-against-women-on-the-polish-political-scene>,

31 ჯეს ფილიპსი, *ჩვეულებრივი ქალი: ერთი ქალის სიმართლე სიმართლის თქმის შესახებ* (ლონდონი: Hutchinson, 2017).

და პრობლემატურ ტვიტებს საარჩევნო პერიოდში და თითოეულის პასუხად პოზიტიურ ტვიტს აგზავნის, რათა არჩევნების დროს ქალებისთვის უფრო პოზიტიური პოლიტიკური დისკურსი შეიქმნას. ეს ინსტრუმენტი უკვე გამოიყენეს **კანადაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა** და **ახალ ზელანდიაში**.[32]

## უსაფრთხოების ტრენინგები

პოლიტიკურ სივრცეებში ქალთა უსაფრთხოების გაუმჯობესების კიდევ ერთი გზაა ქალების დახმარება პოტენციური საფრთხეების შეფასებასა და მათი დაძლევის მეთოდების იდენტიფიცირებაში (იხ. „ინსტრუმენტი პოლიტიკაში ჩართული ქალებისთვის“, სადაც მოცემულია რჩევები და რეკომენდაციები).

2017 წელს **გაერთიანებულ სამეფოში** სეი აკივოვომ, მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ ადგილობრივ საბჭოში მუშაობისას არაერთი სექსისტური და რასისტული ონლაინ თავდასხმის მსხვერპლი გახდა, საქველმოქმედო ორგანიზაცია Glitch დააფუძნა. Equal Power Coalition-თან პარტნიორობით, Glitch უფასო ონლაინ ტრენინგს სთავაზობდა პოლიტიკურად აქტიურ ქალებს (და მათ, ვინც მომავალში აპირებდა პოლიტიკურ საქმიანობას),[33] რომლის მიზანიც იყო ქალების პრაქტიკული ინსტრუმენტებითა და ონლაინ აქტივობის კონტროლის უკეთესი საშუალებებით აღჭურვა. ერთსაათიანი ინტერაქტიული ტრენინგ სესიის თემები იყო: ონლაინ ძალადობის ტიპები და ტაქტიკები, ონლაინ უსაფრთხოების მეთოდები და სტრატეგიები, მათ შორის, ძალადობის ეფექტური დოკუმენტირების გზები და ციფრული თვითდახმარების გეგმის შედგენა. Glitch-ის ვებგვერდზე ასევე ხელმისაწვდომია არაერთი ინსტრუმენტი ისეთი თემების შესახებ, როგორიცაა ონლაინ ძალადობის დოკუმენტირება და აქტიური ონლაინ დამკვირვებლის როლი. [34]

**ევროპის ქალთა ლობიმ** შეიმუშავა და 2017 წელს გამოაქვეყნა #HerNetHerRights ინსტრუმენტთა ნაკრები, რომელსაც თან ახლდა ტრენინგკურსები, ზოგადად, ქალთა მიმართ ონლაინ ძალადობის წინააღმდეგ. აღნიშნულ ინსტრუმენტებში გაანალიზებულია ევროპაში ონლაინ ძალადობის გავრცელების მასშტაბი, მოცემულია პოლიტიკის შესახებ რეკომენდაციები გადაწყვეტილებების მიმღებთათვის და ონლაინ უსაფრთხოების ინსტრუქციები ქალებისთვის.[35]

32 ემილი მერცი, „‘ParityBOT’ ხელოვნურ ინტელექტს იყენებს ქალი კანდიდატების შესახებ ნეგატიური ტვიტების წინააღმდეგ“, Global News-ის ვებგვერდი, 27 სექტემბერი, 2019, <https://globalnews.ca/news/5951313/paritybot-twitter-women-candidates-politics-ai/>.

33 Glitch-ის მიერ შეთავაზებული ტრენინგკურსების ნიმუშები იხილეთ შემდეგ ბმულზე: <https://glitchcharity.co.uk/wp-content/uploads/2021/09/Glitch_Workshops_September2021.pdf>.

34 <https://glitchcharity.co.uk/resources/>.

35 „#HerNetHerRights რესურსპაკეტი ევროპაში ქალთა და გოგონათა მიმართ ონლაინ ძალადობის

## მამაკაცთა ტრენინგი

უსაფრთხოების გასაუმჯობესებელი ინსტრუმენტებით ქალთა აღჭურვასთან ერთად, ზოგიერთი სამოქალაქო ორგანიზაციის საქმიანობის ფოკუსში მოხვდნენ მამაკაცი პოლიტიკოსებიც, რათა გათვალისწინებული ყოფილიყო მათი როლი პოლიტიკაში ქალებისთვის უფრო უსაფრთხო გარემოს შექმნის საქმეში. მაგალითად, 2020 წელს NDI-მ წამოიწყო პროგრამა „მამაკაცები, ძალაუფლება და პოლიტიკა", რომლის მიზანიც იყო  მამაკაცი პოლიტიკური ლიდერების, როგორც ცვლილებების მამოძრავებლების, ჩართვა გენდერული თანასწორობის მიღწევის საქმეში, იმის გათვალისწინებით, რომ პატრიარქალური გენდერული ნორმები მუდმივად ხელს უწყობდა პოლიტიკური ცხოვრებიდან ქალთა მარგინალიზაციას. NDI-ს პროგრამის  სახელმძღვანელოში მოცემულია მთელი რიგი სავარჯიშოები მამაკაცი პოლიტიკოსებისთვის,  რათა მათ შეძლონ გენდერული საკითხის პერსონალიზაცია, უკეთ გაიაზრონ მათი დისპროპორციულად დიდი ძალაუფლება და პრივილეგია, პროფესიონალურად შეხედონ, რა ზეგავლენას ახდენს გენდერული ნორმები უფრო ფართო პოლიტიკურ კონტექსტებსა და პოლიტიკურ ორგანიზაციებზე და ეს ახალი ცოდნა გამოიყენონ ორგანიზაციული ცვლილებებისა და, ზოგადად, გენდერული თანასწორობისკენ მიმართული ისეთი სტრატეგიების შესამუშავებლად, რომლებიც ქალთა მიმართ ანგარიშვალდებულებას ითვალისწინებს.[36]

## მხარდაჭერის სერვისები

სამოქალაქო საზოგადოების აქტორებს, განსაკუთრებით ქალთა ორგანიზაციებს, ხშირად დიდი გამოცდილება აქვთ გენდერული ძალადობის მსხვერპლთათვის კონკრეტული  სერვისების (მაგალითად, თავშესაფარი, ცხელი ხაზი,კონსულტაცია და უფასო იურიდიული დახმარება) მიწოდებაში. ამ გამოცდილების მობილიზება შესაძლებელია ასევე პოლიტიკაში ჩართული ქალებისთვის პროგრამების შესამუშავებლად.

## თვითდახმარების ხელშეწყობა

**გაერთიანებულ სამეფოში** საქველმოქმედო ორგანიზაცია Glitch-ის მიერ შეთავაზებული ციფრული უსაფრთხოების ტრენინგკურსის არსებითი ნაწილია თვითდახმარება. ქალთა უფლებების დამცველებთან  მომუშავე ორგანიზაციები ასევე ხაზს უსვამენ პოლიტიკაში ძალადობის სამიზნე ქალებისთვის თვითდახმარების მნიშვნელობას.

---

აღსაკვეთად", ევროპის ქალთა ლობი, ნოემბერი, 2017, <https://www.womenlobby.org/IMG/pdf/hernetherrights_resource_pack_2017_web_version.pdf>.

36 კეროლაინ ჰაბარდი და ალან გრეიგი, „მამაკაცები, ძალაუფლება და პოლიტიკა: პროგრამის სახელმძღვანელო", ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, ნოემბერი, 2020, <https://www.ndi.org/sites/default/files/Men%2C%20Power%20and%20Politics%20Program%20Guidance%2011_20_2020%206.pdf>.

## მობილიზება პოლიტიკის რეფორმირებისთვის

წინამდებარე ინსტრუმენტი, ძირითადად, აღწერს იმ ნაბიჯებს, რომლებიც სამოქალაქო სფეროში სამოქალაქო საზოგადოების აქტორებს შეუძლიათ გადადგან პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლისა და პრევენციისათვის. თუმცა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ სხვათა მობილიზების კუთხითაც. „**ბოლივიაში** ადგილობრივ დონეზე არჩეულ ქალთა ასოციაცია" (ACOBOL) 1999 წელს დაარსდა და სულ მალე არაერთი შეტყობინება მიიღო ქვეყანის მასშტაბით საკრებულოების წევრ ქალთა და ქალ მერთა მიმართ ჩადენილი ძალადობის შემთხვევათა შესახებ. მას შემდეგ, რაც ასოციაციის წევრებმა გააცნობიერეს, რომ ეს თავდასხმები არ იყო იზოლირებული ინციდენტები, მათ დაიწყეს შეხვედრებზე კითხვარების დარიგება, რათა მეტი გაეგოთ მსგავსი შემთხვევების ფორმებისა და სიხშირის შესახებ. 2001 წელს ასოციაციამ სახელმწიფოსთან და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებთან ერთად მუშაობა დაიწყო ქალთა მიმართ პოლიტიკური შევიწროებისა და ძალადობის შესახებ კანონპროექტზე. კანონპროექტი პარლამენტში მრავალჯერ იქნა განხილული და, საბოლოო ჯამში, 2012 წელს იგი კანონად იქცა. ამ კანონის ერთ-ერთი მახასიათებელია, რომ იგი შეიცავს შევიწროებისა და ძალადობის მაგალითების ვრცელ ჩამონათვალს, რომელიც ასახავს ACOBOL-ის მიერ გაწეულ სამუშაოს და ადგილობრივ დონეზე არჩეული 4,000-ზე მეტი ქალის ჩვენებას ეფუძნება. [37]

37 მონა კრუკი და ჯულიანა რესტრეპო სანინი,"პოლიტიკის კეთების საფასური? ქალ პოლიტიკოსთა მიმართ ძალადობისა და შევიწროების შემთხვევათა ანალიზი", Perspectives on Politics 18.3, 2020, გვ. 740-755, <https://www.cambridge.org/core/journals/perspectives-on-politics/article/cost-of-doing-politics-analyzing-violence-and-harassment-against-female-politicians/997569433135FA170B2789C88A48DD17>.

# საჭირო ქმედებების ჩამონათვალი სამოქალაქო აქტორებისთვის

სამოქალაქო საზოგადოებას პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლაში არსებითი როლის შესრულება შეუძლია ცნობიერების ამაღლების, მონაცემთა შეგროვების, უფრო უსაფრთხო გარემოს შექმნის, მხარდამჭერი სერვისების მიწოდებისა და პოლიტიკის რეფორმირებისთვის მობილიზების გზით. შესაძლოა, ყველა კონტექსტში ყველა სტრატეგია არ იყოს ეფექტური ან შესაბამისი, მაგრამ ქვემოთ მოცემულ ჩამონათვალში შემოთავაზებულია გარკვეული იდეები, რომლებიც ეუთოს რეგიონსა და მსოფლიოს სხვა რეგიონებში გამოყენებულ ახალ კარგ პრაქტიკებს ეფუძნება.

## ცნობიერების ამაღლება

- დაწერეთ ღია წერილი, რომელშიც ხმამაღლა ისაუბრებთ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის შესახებ
- შექმენით დასამახსოვრებელი ჰეშთეგი ან გამოიყენეთ არსებული ჰეშთეგები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად
- შექმენით ოფიციალური ქსელი პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის ჩასატარებლად
- შექმენით არაფორმალური ქსელები იმ ქალების დასახმარებლად, ვინც პოლიტიკაში ძალადობას განიცდის
- მოიზიდეთ თანამოაზრე მამაკაცები, რათა მათ ხმამაღლა ისაუბრონ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ
- საზოგადოებას მიაწოდეთ ინფორმაცია პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ

## მონაცემთა შეგროვება

- შექმენით ინფორმაციის შეტყობინების ალტერნატიული მექანიზმები ქალებისთვის, რათა მათ შეძლონ ძალადობის ფაქტების შესახებ ინფორმაციის ანონიმურად გაზიარება
- გამოიყენეთ ‘ქრაუდსორსინგი’ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემთა შესაგროვებლად

- ჩაატარეთ ორიგინალური კვლევები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ფორმების, სიხშირისა და ზეგავლენის შესახებ
- გააანალიზეთ პოლიტიკაში ჩართულ ქალთა შესახებ საჯარო დისკურსი ქალთა მიმართ ძალადობის გამოსავლენად
- შეაგროვეთ და გააანალიზეთ მონაცემები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ონლაინ ძალადობის შესახებ
- გამოიყენეთ შერეული მეთოდები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ უფრო სრული სურათის შესაქმნელად

## უფრო უსაფრთხო გარემოს შექმნა

- გამოიყენეთ კონტრნარატივი პოლიტიკაში ქალთა მიმართ ონლაინ ძალადობასთან საბრძოლველად
- გამოხატეთ სოლიდარობა პოლიტიკაში ძალადობის მსხვერპლი ქალებისადმი
- მონაწილეობა მიიღეთ პოლიტიკაში ჩართულ ქალთა უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასებაში, რათა მათ მიმართ ძალადობა შემცირდეს ან თავიდან იქნას აცილებული
- შეიმუშავეთ უსაფრთხოების, მათ შორის, ონლაინ უსაფრთხოების სტრატეგიები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ
- ჩაუტარეთ ტრენინგი მამაკაცებს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად და ამ პრობლემასთან ბრძოლის სურვილის გასაძლიერებლად
- განავითარეთ სერვისები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად
- წაახალისეთ თვითდახმარების სტრატეგია პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად

## მობილიზება პოლიტიკის რეფორმირებისთვის

- შექმენით ქსელები, რათა შეძლოთ მობილიზება პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის პოლიტიკის რეფორმირებისთვის
- ეძიეთ მოკავშირეები სახელმწიფო ორგანოებში, პარლამენტსა და პოლიტიკურ პარტიებში საკანონმდებლო რეფორმის მხარდასაჭერად
- გამოიყენეთ ქალთა გამოცდილებები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონმდებლობაზე მუშაობისას

# დამატებითი საკითხავი და გამოყენებული ლიტერატურა


Druciarek, Małgorzata and Aleksandra Niżyńska. 2020. *"It Has Become So Pervasive That I Keep Forgetting About It"*: Violence against Women on the Polish Political Scene. Warsaw: Institute of Public Affairs. <https://www.isp.org.pl/en/publications/it-has-become-sopervasive-that-i-keep-forgetting-about-it-violence-against-women-on-the-polish-political-scene>.

Greg-Obi, Otito, Iryna Lylyk, Gennadiy Korzhov, and Olen Buchunska. 2019. Online Violence against Women in Politics in Ukraine: An IFES Assessment. Arlington: IFES. <https://www.readkong.com/page/online-violence-against-women-in-politics-inukraine-an-7341049>.

Hernández Cárdenas, Ana María and Nallely Guadalupe Tello Méndez. 2017. "Self-Care as a Political Strategy." Sur 14(25): 171-180. <https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Preliminary%20Report%20-%20Violence%20Against%20Women%20in%20Politics%20in%20Southeastern%20Europe.pdf>.

Hubbard, Caroline and Alan Greig. 2020. Men, Power, and Politics: Program Guidance. Washington, DC: NDI.

Inter-Parliamentary Union. 2016. Sexism, Harassment, and Violence against Women Parliamentarians. Geneva: IPU. <https://www.ipu.org/resources/publications/issue-briefs/2016-10/sexism-harassment-and-violence-against-women-parliamentarians>.

Inter-Parliamentary Union. 2018. Sexism, Harassment, and Violence against Women in Parliaments in Europe. Geneva: IPU and Council of Europe. <https://www.ipu.org/resources/publications/issue-briefs/2018-10/sexism-harassment-and-violence-against-women-in-parliaments-in-europe>.

Jankowicz, Nina, Jillian Hunchak, Alexandra Pavliuc, Celia Davies, Shannon Pierson, and Zoë Kaufmann. 2021. Malign Creativity: How Gender, Sex, and Lies Are Weaponized against Women Online. Washington, DC: Wilson Center.

Judson, Ellen, Asli Atay, Alex Krasodomski-Jones, Rose Lasko-Skinner, and Josh Smith. 2020. Engendering Hate: The Contours of State-Aligned Gender Disinformation Online. London: Demos.

Krook, Mona Lena. 2020. *Violence against Women in Politics*. New York: Oxford University Press. <https://www.scielo.org.mx/scielo.php?pid=S1665-20372016000100127&script=sci_arttext&tlng=en>.

Krook, Mona Lena and Juliana Restrepo Sanín. 2020. "The Cost of Doing Politics? Analyzing Violence and Harassment against Female Politicians" *Perspectives on Politics* 18(3): 740-755.

Miftari, Edita. 2019. Violence against Women in Politics in Bosnia and Herzegovina. Sarajevo: Westminster Foundation for Democracy.

National Democratic Institute. 2020. *Violence against Women in Political Parties in North Macedonia: Assessment Report.* Skopje: NDI. <https://www.ndi.org/sites/default/files/Win%20with%20Women%20VAW-PP%20Assessment%20Report%20ENG.pdf>.

National Democratic Institute. 2021. Political Participation and Violence against Women in Politics in Southeastern Europe. Sarajevo: NDI. <https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Preliminary%20Report%20-%20Violence%20Against%20Women%20in%20Politics%20in%20Southeastern%20Europe.pdf>.

La Strada-Ukraine. 2018. Violence against Women in Politics Case Study: Ukraine. London: Westminster Foundation for Democracy.<https://www.wfd.org/what-we-do/resources/violence-against-women-politics-case-study-ukraine>.

Phillips, Jess. 2017. *Everywoman: One Woman's Truth about Speaking the Truth.* London: Hutchinson.

Restrepo Sanín, Juliana. 2020. "Criminalizing Violence against Women in Politics: Innovation, Diffusion, and Transformation." Politics & Gender. First View. <https://www.cambridge.org/core/journals/politics-and-gender/article/criminalizing-violence-against-women-in-politics-innovation-diffusion-and-transformation/D940136A274FB47381EB286E88D2793B/share/a86f0987fb0c3717a33f-2f3346af48278ed3dab0>.

SCAN ME

Office for Democratic Institutions and Human Rights

OSCE ODIHR